# საქართველოს გაზეთი

ხელმწიფის ე [illegible] ჩყით წლის [illegible]:

No. 27.

## გამოცხადებანი

ტფილისელის ექსპედიციისაგან უცხადებს ყოველთავე.

ა.

მოწოდებულნი არიან ისინი, რომელთაც ჰსურსთ სყიდვა გორის უეზდის სოფლის ზემოხვითის გარდაცვალებულის უგრისის მცხოვრების სვენია ვარძიელა შვილის ორის დღის ხანნავს მიწაში აშენებულის ვენახისა, რომელიც არის გასასყიდად დანიშნული იმ ვარძიელა შვილის მემკვიდრეთაგან იმისის ვალის ოც და ცხრას თუმნის თეთრის ფულის ცხინვალელის სტეფანე შერმაზანოვისადმი მიუცემლობისათვის. აგრეთვე მისთვისაც, იმ ვენახზედ სხვას ხომ არა ვისა აქვს დავა, ასე რომ რომელთაც უნდა სყიდვა ისინი საუწყროდ გამოცხადდენ ექსპედიციაში ხელმწიფის ლ. და ოკდომბრის იე და კვ და მომდევნოთა დაუყოვნებელად გამოაცხადონ თავიანთი დავა.

ბ.

ეგრეთვე მოწოდებულნი არიან რომელთაც უნდათ სყიდვა თბილისის ქალაქის ჰორველის ჩასაქის მჭურჭეს კვარტალში თბილისელის მოქალაქის ბაბულოვის შვილის თამარხანუმას სახლისა, რომელიც არის დანიშნული გასასყიდად ოც და სუთის თუმნის თეთრის ფულის ვალის თანამდინა კარახანოვის მეუღლისადმი მიუცემლობისათვის, და ეგრეთვე მისთვისაც იმ სახლზედ სხვას ხომ არა ვისა აქვს დავა, ასე რომ რომელთაც უნდოდესთ სყიდვა ამ სახლისა, ისინი საუწყროდ გამოცხადდენ ექსპედიციაში ოკდომბრის ზ კა და ლ. და მადავეთა დროს განუგრძელებელად წარმოადგინონ თუ ჰქონდესთ ნამდვილნი და ცხადნი საბუთნი თვსნი.

გ.

უნდა მოიძებნენ გაქცეულნი არაგვის იცის სად სამის ცხენის ქურდად გამოყვანილი ანანურის უეზდის ქსნის ხეობის სვენია ჰაკარას მონასტრის მცხოვრები ივანე არინი (ისივ კრიგოლ ქსიამშვილი) რომელიც თავის თავს არქვენებს მე ბატონის თედორე ბრონზინის კაცად, სტეფანე თედორიძე და აზნაურის ფურცელაძის უმა გოგია ხოხრშვილი, რომელთაგანი თედორიძე არის ჰიროთ შავგვრემანი, პირნაყვავილარი და გამხდარი, ცხვირი აქვს გატეხილი, სამი თვალეში თმა ქერა ულვაში და წვერი არა აქვს ტანით არის ორი ალდი და ექვსი გოჯი და ხნით არის ოც და ხუთის წლისა.

[illegible]

დ.

რომელთაცა უნდოდესთ სყიდვა ელისაბეტპო-ლის ქალაქში თათრის ალამა ხუდაბაჯშის მა-ჰმუდისა მეელის სახლისა ეზოთი, მასთან ჯაღისა რამთვენისამე ხილის ხეებით ბაღჩალარში ერთის ბაღის ადგილისა და ერთისავე ბაღის ადგილისა მრავლის ნიგვზის ხეებით ახკერნის ჭალაში. რომელნიცა დანიშნულნი არიან გასასყიდად მის-გან ორმოც და ექვსის თუმნისა ერთის რუბლი-სა და თორმეტის კაპეიკის თეთრის ფულის ვალის საზინისადმი მიუცემლობისათვის, ისინი უნდა გამოცხადდნენ სასამართლოსა ექ ბელიცაში ხვალემბ-რის კე ოკტომბრის იე და ამ წლის ნოემბრის ია.

---

საყოველთაოდ საცნობელად სახანოთ მცხოვრებ-თა შირვანისა ყარაბაღისა თალიშისა და ქურისა-თა ყუბისა და სხვათა მუსულმანის სამფლობელოთა ერთგულთა ყმათა რუსეთის დიდისა კელმწიფი-სათა.

მიიღებრა სრულითა მწუხარებითა გარ-დაცვალებასა აღმატებულისა და მაიორსარისხოვა-ნისა შაქის იზმაილხანისა, რომელმანცა ვითარცა თჳთ, ეგრეთვე განსვენებულმანცა მამამან მისმან ჰმსახურეს განსხვავებულითა გულსმოდგინებითა და მფარველითა ერთგულებითა დიდსა კელმ-წიფესა თჳსსა, ვაცხადებ, რომელ შემდგომად მიწყებულისა ნათესავისა მათისა სახანო შაქისა ტრაქტატისაებრ ყოვლადუმოწყალესად მიდამო მინიჭებულისა, შევალს მმართებლობასა შინა რუსეთისასა, და ამიერითგან შემდგომად იწო-დება არა სახანოდ, არამედ შაქის პროვინციად ანუ მაზრად.

თათოეულსა განსვენებულის იზმაილ-ხანის

ერთ სარწმუნოთაგანსა საამო ექმნების ცნობად ამისი, რომელ ლიდი კელმწიფე ჰპატივსცემს რა სამსახურსა და ერთგულებასა მისსა, არა დაუტე-ვებს სახლეულებასა მისსა თჳნიერ მაღლისა წყა-ლობისა და მფარველობისა იმლისის ღა. დღევა ჩუთ წელსა ანდრიის სოფლის ბანაკით.

ქუელ. მოუწერია: გენერალს ერმოლოვს.

პირი დაუმოწმებია გენერალ-ლეიტენანტს ველიამინოვს პირველს.

საცნობელად საქართველოს საზოგადოებისა აცხადებს, რომელ მხედრობათ მპართველი სა-ქართველოსა შინა უფროს გენერალ-ლეიტე-ნანტსა და კავალერსა ველიამინოვს პირველსა მი-ულია შაქის სამფლობელოსა შინა მყოფთა უფრო-არტილლერიის გენერალ-მაიორის ახვერდო-ვისა და სტატსკის სოვეტნიკის მოგილევსკისაგან მოხსენებარომელ, ოდესცა მაღალთ ბეკნი და უფროსუფროსნი კაცნი შეკრებილან ნუხს და მა-შინ მიწვევვითა მათითა სახლსა მას შინა, სა-დაცა იგინი მდგომარებენ, ერთბამ უპატიოსნესმუ-ლეთა მცხოვრებთა თანა ქალაქისათა წარმოლურის-თჳს კა. რიცხვსა ხაამჯემნო ჰქმნია მათ გამო-ცხადებად საქართველოს უპირატეს მმართებელის მისის მაღალ აღმატებულების ალექსეი პეტროვიჩის ერმოლოვისა შესაბამითა ამა შემთხვევისადმი წესითა. შეკრებილთა საზოგადოებათა მიუღიათ. ესმგვარი გამოცხადებად შეპმცნებულითა კმა-ყოფილებითა და მადლობისა გამოცხადებითა მოწ-ყალებითისათჳს კეთილ-მზრუნველობისა მათ-თჳს კელმწიფე იმპერატორისა, და მუნვე ყოველთა მათ წადილით უქმნიათ ფიცი ერთგულებასა ზედა მისის იმპერატო-რებითის დიდებულების ყმობისსა. ხოლო შაქის ზისსა წინათ ცნობილისა გამოცხადები-საებრ ქალაქსა შინა ნუხს ერი სრულიად შეკ-

ჩვეულ ყოველთა, თათარის გვარისა მხრითა, ზოლო სოფიისა ეკკლესიათა შინა, სადაცა მუნ დასწრებითა კომენდანტის უფლის მაიორის და-სტერლისათა თანასწორ წარკვეთილ ქმნილთა მათი-ლამი გამოცხადებაჲ ვაჭრობისათვის სამართალისად შაქის სამფლობელოსა შინა ხანის განმგებლობისა და შეყვანისათვს მას შინა რუსეთის მმართებლობისა. სრულიადი განსვენება და მყუდროება დაცვული ყამსა არა შემოსვევისასა ერისა მიერ ყოვლად უმჯობესის სახით ჰსწამებენ უმზაკვროსა სა-სარულსა მისსა კეთილმოქმედებითა თჳს გან-კარგულებათა რუსეთის მმართებლობისათა. — შემდგომად მისა ქმნილა გამორჩევა წევრთა ახ-ლად განწესებულისა ქალაქისა სასამართლოსა შინა; ხოლო კდ. რიცხვსა ცხრას საათსა გან-თიადისა შემდგომად შეკრებისა დიდსა სახლსა შინა უწინდელისა მდივანხანისასა ყოველთა უპა-ტივცემულესთა მაღალის ბეგთა და ქალაქის უფროს უფროსთა კაცთა და, შემდგომად მოყვანებისა და-ჩვეულთა საზოგადოობისაგან მსაჯულთა ფიცისადმი მუნ დასწრებასა შინა უფალთა ასეფრდოვისა და მო-გილევსკისათა, ქალაქის სასამართლო შაქის სა-მფლობელოსი, პირველ მჯდომელობასა ქვეშე კო-მენდანტისასა, განსსნილარს სადღესასწაუ-ლოჲთა სახითა მიცემულთა თანა მსვლობათა-გან ზატივისცემათა და შეკრებასა მრავალრიცხ-ვლისა ერისასა. — ხოლო მეორესა დღესა შემდ-გომად მისა მოწოდებითა უფალთა ასეფრდოვისა და მოგილევსკისათა მიწვეულ ყოფილან სადილს ზტოლსა ზედა ყოველნი მაღალის ბეგნი და უფ-როს უფროსნი კაცნი და ეგრეთვე უპატივცემულე-ლესნიცა მცხოვრებნი ქალაქისანი; რომლისაცა შემდ-გომად მაღალს ბეგნი თანამმდომელობასა შინა თვითოეული რუსეთის ოფიცრისასა წარსრულან თჳს თჳსთა ადგილთა შინა სამჯდომყოფისაჳს უფლის უპირატესმმართებელობის გამოცხადებისა და მოყვა-ნებისათჳს ფიცისადმი მათ მიერ განგებულთა მა-ფლოთა სამართლისოსა ყმობისა ზედა რუსეთის ჴელმწიფე იმპერატორისასა.

რობერტი წოდებული ავაზაკი დიდხანს აწუ-ხებდა ღამით ლუტტრიხის ქალაქის მცხოვრებთა და ჰყვანდა ისინი ამისთანას შიშში, რომ იმათ იმას დაარქვეს ეშმაკი. პოლიცია დღე და ღამ ეძე-ბდა მას, მაგრამ ის ემალებოდა, მამა ჩემი როგორ-მე მჯდარიყო ერთს თავის მეგობართაგანთან, სადაცა ყოფილიყო შეკრებილება საკრავეთა, დიად გვიან წამოსულიყო შინ, და თავის ქუჩაში შე-ბრუნების დროს ენახა მას ხუთი კაცი, რომელთაც ერთის სახლის ეზოს კარებში ჰქონდათ ვგონებ მისი მოლოდება, მამა ჩემი არ იყო მოშიშარი, მაგრამ ყოველნი ზღაპარნი მისგან გაგონილნი ეშმაკს რობერტზედ იმ მინუტში მოჰგონებოდა მას და ეჭვი აღარ ჰქონდა რომ ეს იქნება ან რობერტი, ან იმის მრავალ რიცხვულის თან-მოზიარეთაგანი ვინმე, განემზადა თავისი თავი და განეზრახა იმათს გვერდზედ გავლა მაგარის ბიჯებით, მაგრამ ეშმაკი რობერტი, რომელიც სწორედ თვით ის ყოფილიყო მოჰგეგებოდა მას, თავი დაუკრა, და მამის ჩემის დიდად გასაკვირ-ვებლად ეთქვა:,, უფალო გრეტრი დღეს თქვენ დიად გვიან მობრუნებულხართ; როგორ გგონიათ; რომელი საათი არის?... აი ნახეთ მეორე სა-ათი არის. თქვენ დიად არა ხართ ფხიზელნი; მე რობერტი ვარ მაგრამ ნუ გეშინიანთ, მხოლოდ პურნათი მომაწყევინეთ, რომ ის მაინც დავიკვესო, მე პურნათით მომიწყევია ზატრიხანის კაცის პურნათის კოლოფიდამა;; მამა ჩემს დაუყო-ვნებელად ეთავაზებინა მისთჳს თავისი პურნა-თით, და მზაკვარი თავაზიანის მოკითხვის შემ-დგომად მისულ იყო თავის ამხანაგებთან და ეთქვა:,, აი უფალი გრეტრი, რომელიც ასე კარგად უკრავს ჰვიანურსა აქაურს ხორომში და რომლისაც დაკვრა თქვენ დღეს დილაზედ გა-გსმოდათ: თქვენგანი ვინც გაბედავს ვინც უნ-

და იყოს ; ან ამისა და ან ამისის სახლეულთა-განისა ვისისამე შეწუხებას, მას ჩემგან მაგიერი მიეგებოს.!.

რომელსამე დროს შემდგომად რომერთი რომელიც ტრახტირში სვამდა და არას ფიქრობდა დაიჭირა და წაიყვანა კსენემონტის პრისტავმა მაშ ის ჩემის ნათესავმა.

—

ერთხელ, რომელიც მე ვნახე ტერნესში მორჩილი სარქაროდ ბარიერში ნასვლასა და მე-უბნებოდა მხოლოდ იქ მიიღებენ უკვდავებასაო ; მე ვუპასუხე დიად აგრე უფალო ერთხელ ; თქვენ თჳს კარგია აგრე თქმა ; რომლისაც თქვენ ის კიდეც მიგიღიათ ; რომელიმე მისთჳს ნახევარს საუკუნესაც მისცემდამეთქი ; ამაზედ ასე ჰსთქვა მართალი არისო ; და მე მივსცემდი ასის წლის უკვდავებასა ; რომ მართალი ჰკომაკი მქონდესო.“ მართალი უთქვამს!......

ტ-რინში შევიყარენით მე და ერთი ნე-მეწცის ბარონი, რომელსაც უწინ რომში ვიცნობდი და რადგან ორნივე ქვენევს მიუდიოდით, ამის თჳს მე მან მომცა ადგილი თავის კარეტაში და მეორეს დღეს მე და ის ერთად გავემგზავრე-ნით; მხოლოდ ქალაქს რომ გავედით მე დავუწყე მას ლაპარაკი: ოჰ ბატონო მე როგორ მიხარიან რომ.... მან გამაწყვეტინა სიტყვა და მუქარი-ჩვენით მითხრა: მე ჴელმწიფეს არ ვღალატობ კარეტაშიო...“ მე დავჩუმდი, სადამდისინ დავდე-დეგით ჩვენ ტრახტირში; სადაც იმან უბრძანა მომსახურეს კარგის ღვინისა ჩამოსხმა, ხოლო და მოვიდა ჩემთან მისახსენებლად და მითხრა; ოჰ საყუ-ვარელო მეგობარო მე როგორ მიხარიან რომ.. ტარეზე მე არ შევასრულებინე მას სიტყვა; და დიდად ხმელად ვუპასუხე მე ჴელმწიფეს არ ვღა-ლატობ ტრახტირშიმეთქი.“ მან გაიხარხარა როგორც უგუნურმა და მითხრა, მე მწერის ხნე-ულებით ვარ ავადაო და მწარედ უჩიოდა რომელთა ხანდომიანთ ქალთა; რომელნიც უმოწყალოდ მოჰ-ტყუებდნენ მას.—

მე მიყვარს სიარული, მაგრამ წუწარა დავუ-ღირავ და არ შემიძლიან რომ ჩემს ბიჯს მი-ვუმატო; ოდესაც შევხვდები ხოლმე მეგობრებს მა-შინ მეშინიან რომ ჩემთან ერთად არწამოვიდე-ნენ და თუ ოდესმე ასე შემემთხვევა; მაშინ ჩემმა თანამოგზაურმა უთუოდ უნდა თავისი ბიჯი ჩემსას დაუთმოს მე ლონე ვიპოვნე რომ თვით მიბჯენილი ჩემს ნებას დავუმორჩილო: ჩვეულ-ების ძლიერ დავუსტევე ის რომლისამე სამხედროს მა-რშსა, რომელიც თანხმაარის ჩემის სიარულისა, და მცირედ მცირედ წამოვა ჩემი ამხანაგი ზომიერის ბიჯით, მაგრამ უნდა აღვიარო რომ მე ხშირად ვმოვებდი უსაკრავოს ყურით და ფეხით.—

(ამისა შესრულება შემდგომში იქმნება).